ნათელა ურუშაძე

თეატრის სამყარო

რედაქტორისაგან

როგორ შეიქმნა ეს წიგნი? ყველაფერი დაიწყო იმით, რომ ჟურნალისტიკის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტებმა თავად ითხოვეს ხელოვნების შესახებ ლექციათა კურსის მოსმენა. ამ სურვილის გაჩენა, ალბათ, განაპირობა არჩეული პროფესიის ღრმად გააზრებამ და საქმიანობის იმ სფეროსადმი პასუხისმგებლობის ბადალმა გრძნობამ, რასაც მეოთხე ხელის-უფლება ჰქვია.

რექტორატმა გაითვალიწინა სტუდენტთა ეს სურვილი და მოიწვია სპეციალისტთა ჯგუფი შესაბამისი მოდულის შესაქმნელად. ის ხელოვნების ოთხ დარგს მოიცავს ___ თეატრი, კინო, მუსიკა და მხატვრობა.

მეცადინეობის წარმატებით მიმდინარეობამ და სტუდენტთა მაღალმა აქტივობამ დღის წესრიგში დააყენა სახელმძღვანელოს შექმნაც, მაგრამ არა ტრადიციული ფორმით. ავტორებმა მას მეგზური უწოდეს. ფორმატიც სპეციფიკური აირჩიეს, ალბათ, იმიტომ, რომ მან ახალგაზრდას ნამდვილი მეგზურობა გაუწიოს ხელოვნების საოცარ სამყაროში.

პროფესორ ნათელა ურუშაძის წინამდებარე ნაშრომი პირველი წიგნია იმ ოთხთაგან, რომელთა გამოცემაც უახლოეს დროში იგეგმება. ავტორი მისთვის დამახასიათებელი სტილით ესაუბრება მკითხველს, დააფიქრებს მას და ძალდაუტანებლად შეჰყავს თეატრის განუზომლად დიდ სამყაროში.

დარწმუნებული ვარ _ ეს წიგნი კეთილ სამსახურს გაუწევს არა მარტო სტუდენტებს, არამედ სხვა დაინტერესებულ პირებსაც.